APM TERMINALS

Lifting Global Trade

N3

05/01/2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზ) ტერიტორიაზე არსებული ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით მოწყობილი გვაქვს გამწმენდი დანადგარი (სეპარატორი).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2 დანართის 10.6 პუნქტის მიხედვით, ნავსადგურის ტერიტორიაზე ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. ამასთანავე, ავტოსამრეცხაოს და მისი ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაკავშირებულია ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან, რაც კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობაა.

წარმოგიდგენთ, ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

1. ფოთის საზღვაო ნავსადგურის გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
2. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია და გამწმენდი დანადგარის განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,

კელდ ქრისტენსენი

კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის დირექტორი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 446
14 01 22
1/CD

APM Terminals Poti
Poti Sea Port Corp.
38, Davit Aghmashenebeli str.
4401 Poti, Georgia
T +995 - 493 - 277777
F +995 - 493 - 220688
www.apmterminals.com